წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

კორნელი სალია
საკრებულოს თავმჯდომარე

2023 წელს ჩატარდა საკრებულოს 21 სხდომა, აქედან 12 მორიგი და 9 რიგგარეშე ,სადაც მიღებულ იქნა სამართლებრივი აქტები: დადგენილება 45 და განკარგულება 43

საკრებუ ლოს კომისიები და ფრაქციები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არის 5 მუდმივმოქმედი კომისია და 3 ფრაქცია:

- 1. იუ რიდიუ ლი და საპროცედუ რო საკითხთა კომისია;
- 2. სივრცით-ტერიტორიუ ლი დაგეგმარებისა და ინფრასტრუ ქტუ რის კომისია;
- 3. ქონების მართვისა და ბუ ნებრივი რესუ რსების საკითხთა კომისია;
- 4. სოციალუ რ საკითხთა კომისია;
- 5. საფინანსო-საბიუ ჯ ეტო საკითხთა კომისია;

ფრაქციები:

- წალენჯ იხა საქართველოსთვის;
- ქართუ ლი ოცნება- დემოკრატიუ ლი საქართველო;
- ერთიანი ნაციონალუ რი მოძრაობა;

საკრებუ ლოს კომისიების სხდომები

- 1. იუ რიდიუ ლი და საპროცედუ რო საკითხთა კომისია - 25 სხდომა
- 2. სივრცით-ტერიტორიუ ლი დაგეგმარებისა და ინფრასტრუ ქტუ რის საკითხთა კომისია - 11 სხდომა
- 3. ქონების მართვისა და ბუ ნებრივი რესუ რსების საკითხთა კომისია - 15 სხდომა
- 4. ჯ ანდაცვისა და სოციალუ რ საკითხთა კომისია - 18 სხდომა
- 5. საფინანსო-საბიუ ჯ ეტო და საკითხთა კომისია - 21 სხდომა

მუნიციპალიტეტის საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა, აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის სფეროში:

-დამტკიცდა მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებები და საშტატო ნუსხა;

-საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიები და ფრაქციები, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლის მიზნით, პერიოდულად ახორციელებენ მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების მოსმენას, ანგარიშების მოსმენისას ვაძლევთ რეკომენდაციებს, ვსახავთ სამომავლო ღონისძიებებს.

2023 საკრებულო სხდომაზე განხილული ძირითადი საკითხები

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები
- ადმინისტრაციული წარმოებები
- უძრავი ქონების განკარგვა
- საპრივატიზაციო ნუსხის განსაზღვრა
- მიწის ნორმატიული ფასის დადგენა
- საკრებულოს დებულებაში (რეგლამენტი) ცვლილება
- საკრებულოს წევრთა და თანამდებობის პირთა მომსახურების ლიმიტები
- საქართველოს რეგიონებში გასახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამა;
- ქუჩებისა და სოფლების სახელდების, ძეგლებისა და ბიუსტების განთავსების საკითხები
- მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის აკრძალვები
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები და მასთან დაკავშირებული ცვლილებები.
- სტრატეგიული განვითარების გეგმები

-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ინიცირებული საკითხები.

1. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით დაწესებული საწვავისა და მობილური ტელეფონების ხარჯების ლიმიტის დაწესების შესახებ“. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის N10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე’’.

3. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის თაობაზე’’.

4. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ’’.ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

5. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2024 წლების

მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში

-საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს წევრებთან ერთად, აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხილვასა და მთავარი ფინანსური დოკუმენტის-2024 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში;

-მოსახლეობასთან კომუნიკაცია, მათთან არსებულ საჭიროებებზე საუბარი მნიშვნელოვანია, სწორედ ამ მიზნით არაერთი შეხვედრა გაიმართა მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან;

-პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის შემუშავების პროცესის ღიაობის უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან ერთად წინასწარ შემუშავებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად გაიმართა შეხვედრები მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობასთან, სადაც იმართებოდა მსჯელობები მოსახლეობისა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე, პრიორიტეტებზე, მომავალი წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელ პროექტებზე. მოხდა მოქალაქეთა საჭიროებების გამოვლენა და გარკვეული ნაწილის მიმდინარე წლის ბიუჯეტის ცვლილების დროს გათვალისწინება;

-შეხვედრების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალგაზრდებთან კომუნიკაციას და მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირებას;

-ქ.ჯვარის, ეწერის, ნაკიფუს, მიქავას,ფახულანის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობასთან შეხვედრებისას ერთერთ ძირითად პრობლემად დასახელდა წყალმომარაგების სისტემის გამართვა, ხოლო ქ.წალენჯიხისა და ქ.ჯვარის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგებასთან ერთად საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება;

-2024 წლის წლის ბიუჯეტის პროექტში ასახვის მიზნით, შეხვედრებისას იდენტიფიცირებული საკითხები რეკომენდაციებთან ერთად გადაეგზავნება მუნიციპალიტეტის მერს.

საკრებულოს თავმჯდომარე კორნელ სალია არის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.

- გენდერული თანასწორობის საბჭომ აღნიშნულ პერიოდში ჩაატარა 4 სხდომა.სადაც მიღებულ იქნა , შემდეგი ინიციატივები : 1.ქალთა საერთაშორისო დღეს(8 მარტი) მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 100 წელს გადაცილებულ ქალბატონებს გადაეცათ ფულადი საჩუქარი (5 ქალი,თითოეულს 200 ლარი.)

  მომზადდა ბუკლეტის ნიმუში ,, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების შესახებ.'', რომერიც მოხალისე სტუდენტების მიერ გავრცელებულ იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

  ,,ვარდისფერი ოქტომბერი''-ს კამპანიის ფარგლებში ქალთა ონკოლოგიური დაავადებების პრევენციის მიზნით საბჭომ უზრუნველყო ზუგდიდის სკრინინგ ცენტრში გამოკვლევებზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ქალების (40-70წ) ტრანსპორტირება.

  ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16- დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩაატარა 4 ტრენინგი, სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებისთვის თემაზე ,, გენდერი და გენდერული ძალადობა''.ასევე ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ფორმების და რეფერირების შესახებ საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა ქ.ჯვარში , ჯგალის, ნაკიფუსა და საჩინოს ადმინისტრაციულ ერთეულებში.

  ზემოაღნიშნული კამპანიის ფარგლებში ჩატარდა ქალთა საჭიროებების კვლევა და მომზადდა ბროშურები.

გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, აქტიურად ესწრება ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს,ასევე ჩართულია ქალთა ორგანიზაცია ,, თანხმობა''-ს პროექტში ,,მონაწილეობითი დიალოგის შესაძლებლობების განვითარება'', რომელიც მიზნად ისახავს ქალების , ახალგაზრდების და შშმ პირების გადაადგლების შესაძლებლობების გაუმჯობესებას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში იგეგმება სამარშრუტო ტრანსპორტის გამოყოფა, რომელიც მოემსახურება ქ. წალენჯიხაში და ქ.ჯვარში დევნილ და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ პირებს, კოლეჯ ,,ლაკადა''-ში მობილობისთვის.

აღნიშნულ პერიოდში საბჭოს ორგანიზებით და ფონდ ,,სოხუმთან'' პარტნიორობით საკრებულოს დარბაზში გაიმართა მრგვალი მაგიდა სახელისუფლებო სტრუქტურებსა და სოციალური ინსტიტუტების წარმომადგენელთა მონაწილეობით, თემაზე : ,, ძალადობის პრევენცია და ძალადობის მსხვერპლის დაცვა , სოციალური თანამშრომლობა და რეფერირება''.

ქალთა საინფორმაციის ცენტრის ორგანიზებით,გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან და სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებთანკონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების გადაუდებელი საჭიროებების მოგვარების მიზნით გაიმართა შეხვედრა ,, ერთი ფანჯრის პრინციპით''

გენდერული თანასწორობის საბჭო მუშაობს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2024 – 2026 წწ. სტრატეგიის დოკუმენტის შექმნაში.

შეხვედრები და ინიციატივები

ზვიად გამსახურდიას ეროვნული გვარდიის მაიორმა და მისმა თანამებრძოლმა, შერმადინ ლაშხიამ წალენჯიხის მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადასცა 1000 (ათასი) ძირი მუხა. მისი სურვილია, ხვიჩა კვარაცხელიას სახელზე დაირგოს 1000 ძირი მუხა წალენჯიხის ტერიტორიაზე და მუხის პარკს სახელად ეწოდოს „კვარა‘‘.
სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით, ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალურად ჩართულობის მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, საკრებულოს წევრებთან ერთად იმყოფებოდა ნაკიფუს ადმინისტრაციულ ერთეულში და შეხვდა ადგილობრივ მოსახლეობას, რათა მათი ყველა სურვილი და ინიციატივა გათვალისწინებული იყოს პროექტში.

შეხვედრები და ინიციატივები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსთან გელა სალიასთან ერთად ადგილზე დაათვალიერა ეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში წყლის (ჭაბურღილის) სისტემის მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობა. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ერთი ახალი ჭაბურღილი 200მ, სიღრმის, ჭაბურღილთანვე მოეწყობა (2 ცალი 50მ 3 ლითონის რეზერვუარები ლითონის კოშკით). ასევე საპროექტო ტერიტორიაზე ეწყობა საქლორატორო საიდანაც მოხდება რეზერვუარებში წყლის დაქლორვა ტუმბოდოზატორის საშუალებით, ხოლო რეზერვუარებიდან წყალი მიეწოდება არსებულ ქსელში.

შეხვედრები და ინიციატივები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, საკრებულოს თავმჯდომარის და ფრაქცია "წალენჯიხა საქართველოსთვის" ინიციატივით გაიმართა შეხვედრა ფერმერებთან, რომელზეც ვიმსჯელეთ თხილის სექტორში არსებული პრობლემებსა და გამოწვევებზე. შეხვედრაზე გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები.: შეწამვლის პრობლება, სუბსიდირების გაზრდის,თხილის პლანტაციების მოვლისათვის საჭირო ტექნიკის სერვისცენტრის შექმნის.

შეხვედრები და ინიციატივები

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების ადგილზე შესწავლის მიზნით შეხვედრები ჩატარდა მოსახლეობასთან.

1. მედანის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლაკადას უბანში დაიგეგმა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობას მუნიციპალიტეტში ძლიერი წვიმის დრო, სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობის თაობაზე.

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მოსული უხვი ნალექის შედეგად მდინარეების ადიდებამ, დააზიანა ხიდ-ბოგირები, ხიდები, მოსახლეობის საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, გზები, მოიშალა გაბიონები, სანიაღვრე არხები,ამ საკიტხთან დაკავშირებით შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე დაათვალიერებულ იქნა დაზიანებული უბნები. პრევენციის მიზნით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მერს მიმართა წერილით კომისიის შექმნის თაობაზე, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს ლოკაციებს, სადაც მოსალოდნელია სტიქიის წარმოშობა.



შეხვედრები და ინიციატივები

-. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ქალაქ ჯვარში სსიპ კოლეჯ "ლაკადა"-ში იმყოფებოდნენ და იქ არსებულ ინფრასტრუქტურასა და პრობლემურ საკითხებს გაეცნენ.ხელმძღვანელმა პირებმა დათვალიერეს კოლეჯის სტუდენტების მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშები,გაეცნენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამას.

შეხვედრები და ინიციატივები

შვეიცარიის FDFA კვლევითი პროგრამის „გარემო და უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში - რესურსებისა და წყლის მდგრადი გამოყენების სფეროში“-ს ფარგლებში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მუჟავას თემში იმყოფებოდნენ FDFA კვლევითი პროგრამისა და „მწვანე რეგიონების“ წარმომადგენლები, რომლებმაც წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალიასთან და მუჟავას წარმომადგენელთან მაჟარა არქანიასთან ერთად დაათვალიერეს ამ პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები. მოსახლეობის მიერ გამოკვეთილი პრიორიტეტების შესაბამისად და მათთან შეთანხმებით დაიგეგმა და განხორციელდა წყალმომარაგების სისტემის მ

შეხვედრები და ინიციატივები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის" ფრაქციის სხდომა საფეხბურთო კლუბ „სქურ" -ში არსებულ მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით.
შეხვედრის მიზანი იყო საფეხბურთო კლუბ ,,სქურის" წარმომადგენლებთან არსებული ვითარების თაობაზე ინფორმაციის მიღება.
სხდომაზე განიხილეს კლუბში არსებული პრობლემები და გამოწვევები. ასევე, იმსჯელეს მომავალი სეზონისთვის ამ პრობლემების მოგვარების ალტერნატიულ გზებზე.
კლუბ „სქურში" არსებული პრობლემის უკეთ შესწავლისა და გაცნობის მიზნით, ფრაქციის წევრები ასევე შეხვდნენ ფეხბურთელებს და მათი მოსაზრებებიც მოისმინეს.

- მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკრებულოსა და მერიის ერთობლივი ინიციატივით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე ინიციატივების წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით ,შემუშავდა პროგრამა „შენი იდეა წალენჯიხას“.სადაც კომისიის მიერ კონკურსით გამოვლინდა ორი გამარჯვებული იდეა.

შეხვედრები და ინიციატივები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ, საპატრიარქოს წარმომადგენელთან ერთად ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრებ ბავშვებს და საჩუქრები გადასცა.
საჩუქრები შეძენილ იქნა ა(ა)იპ ,,სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორტო საგანმანათლებლო-საალმზრდელო ცენტრის მიერ.”



მსოფლიო დასუფთავების ფართომაშტაბიან აქციას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელი პირები აპარატის თანამშრომლებთან ერთად შეუერთდა. აქციის ფარგლებში პოლიეთილენის ბოთლების, პარკებისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გაწმენდილ იქნა ქალაქის შემოსასვლელი და წალენჯიხა-ზუგდიდის ცენტრალური გზის მონაკვეთი.

1 ასოციაცია ,,დეა''-ს ინიციატივით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საჯარო შეხვედრა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და პოლიტიკურ პირებთან, რომელიც ჩატარდა პროექტის ,,სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობა ზუგდიდის, ფოთისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში'' ფარგლებში. პროექტი ხორციელდებოდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგნეტოს (USAID) და NDI ვაშინგტონის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით.

2 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვთა დედათა ასოციაცია ,,დეა''-ს ინიციატივით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა იმიტირებული საკრებულოს სხდომა თემაზე ,,მიუსაფარი ძაღლები''.

მადლობა ყუ რადღებისთვის!